საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 482

თბილისი 16 04 2019 წ.

„კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი „საქართველოს პროფესიული თეატრების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის“ კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების, განცხადების, საკონკურსო განაცხადის, საკონკურსო განაცხადების დაზუსტების და ანგარიშის წარმოდგენის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 22 თებერვლის N206 ბრძანებით გამოცხადებული - კონკურსის „საქართველოს პროფესიული თეატრების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის“ გამარჯვებულთა დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილები პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების და მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 22 თებერვლის N206 ბრძანებით გამოცხადებული - „საქართველოს პროფესიული თეატრების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის“ კონკურსის ფარგლებში რეგისტრირებული საკონკურსო განაცხადების განხილვისა და შეფასების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 25 მარტის N353 ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი კომისიის 2019 წლის 28 მარტის N1 სხდომის ოქმისა და 2019 წლის 11 აპრილის N2 სხდომის ოქმის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილის 2019 წლის 12 აპრილის N426264 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი „საქართველოს პროფესიული თეატრების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის“ კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების, განცხადების, საკონკურსო განაცხადის, საკონკურსო განაცხადების დაზუსტების და ანგარიშის წარმოდგენის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 22 თებერვლის N206 ბრძანებით

გამოცხადებული - კონკურსის „საქართველოს პროფესიული თეატრების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის“ გამარჯვებული პროექტები:

ა) სპექტაკლი „ოდისეა“ - ა(ა)იპ „პროექცია“;

ბ) სპექტაკლი „ფოლადი“ - ა(ა)იპ „გ. ლორთქიფანიძის სახ. რუსთავის მუნიციპალური თეატრი“;

გ) „მონაწილეობა შანხაის საერთაშორისო ფესტივალში“ - სსიპ - თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი;

დ) სპექტაკლი „საწოლში მირასთან“ - ა(ა)იპ „თეატრი ათონელზე“;

ე) სპექტაკლი „სულხან-საბა“ - სსიპ - ჩრდილების პროფესიული სახელმწიფო თეატრი „აფხაზეთი“;

ვ) სპექტაკლი „ციურ ბადეთა კუნძულზე“ - სსიპ - სოხუმის კ. გამსახურდიას სახ. პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი;

ზ) მონაწილეობა ლვოვის საერთაშორისო ფესტივალში „ოქროს ლომი“ - სსიპ - თბილისის ალ. გრიბოედოვის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი;

თ) სპექტაკლი „განკიცხულნი“ - სსიპ - ჭიათურის აკ. წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი;

ი) „ოზურგეთის თეატრის საგასტროლო-საფესტივალო ტურნე“ - სსიპ - ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი;

კ) „თბილისის თოჯინების თეატრის განვითარება და ხელშეწყობა“ - სსიპ - თბილისის გ. მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი;

ლ) „მოზარდ მაყურებელთა თეატრი შექსპირის ფესტივალზე“ - სსიპ - თბილისის ნ. დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი;

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტების დაწყების თარიღად განისაზღვროს არაუადრეს 2019 წლის 25 აპრილი.

3. დაევალოს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე არაუგვიანეს 2019 წლის 16 აპრილისა.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

მიხეილ გიორგაძე
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი